საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება №29

ბათუმი „27“ აგვისტო 2024 წ.

უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და 149-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თანახმად დანართისა.

2. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს და უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით დაგზავნა უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე

დანართი

„დამტკიცებულია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

2024 წლის 27 აგვისტოს N 29 ბრძანებით

უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელისათვის დადგენილი ზოგადი (საერთო) მოთხოვნები

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის (შემდგომში - უმაღლესი საბჭოს აპარატი) პროფესიული საჯარო მოხელე უნდა აკმაყოფილებდეს საჯარო მოხელისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითად და სპეციალურ მოთხოვნებს.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება ამ მუხლის 3-4 პუნქტებითა და წინამდებარე ბრძანებით შესაბამისი თანამდებობისათვის განსაზღვრული მოთხოვნების თანახმად.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;

დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულება.

4. უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელე სასურველია ფლობდეს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რომელიმე სხვა ევროპულ ენას - B1 ან B2 დონეზე.

მუხლი 2. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი სპეციალისტი (რანგი - მესამე, კატეგორია - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი)

1. უმაღლესი განათლება - ბაკალავრის ხარისხი (სასურველია - მაგისტრის ხარისხი).

2. ეკონომიკურ ან ფინანსურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 (ერთი) წლის გამოცდილება.

3. სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“;

4. ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის eDocument-ის კარგად ცოდნა.

5. კომპიუტერული პროგრამის - Microsoft office Word კარგად ცოდნა.